A Perfect Note

-ბატონო უილიამ, რა ქენით, დაამთავრეთ? - კარის გაღებისთანავე მოესმა საწერ მაგიდასთან თითქმის ოთხად მოკუნტულ უილიამს უკვე მერამდენედ მაგიდის შესაკეთებლად მოსული დურგლის სიტყვები. დურგალი უკვე შინაურულად იქცეოდა. იდეა რომ არ მოსდიოდა, მაგიდას უბრახუნებდა ხოლმე გამწარებული უილიამი. ვეღარც კი ითვლიდა, იმდენჯერ მოარყია.

-არა, სემ, ჯერ ისევ ერთ-ერთ მთავარ წინადადებაზე ვფიქრობ. მინდა, რომ ორიგინალური იყოს და ჩემს შემდეგ საუკუნეების განმავლობაში ყველას პირზე ეკეროს. აი, ისეთი მთელს ჩემს შემდგომ ლიტერატურას რომ აალაპარაკებს.

-ძალიან ამბიციური ყოფილხართ, ბატონო უილიამ! - თქვა დურგალმა და გაიღიმა.

„უგუნურო, ამაღამ სულს მოგთხოვენ...“ - ამოუტივტივდა უცებ სემს თავში ბუნდოვნად დამახსოვრებული სიტყვები, ალბათ სწორად ჩავხვდი თავის დროზე ამ სიტყვების აზრსო და გააგრძელა: - ბატონო უილიამ, მე თქვენს ადგილზე ამას დღესვე დავწერდი. თუნდაც ბანალური ყოფილიყო. ხვალ კი, თუკი ამის საშუალება მომეცემოდა, კიდევ დავხვეწდი.

-კი მაგრამ, სემ, დახვეწის საშუალება იქნებ ხვალ აღარ მომეცეს. შესაბამისად, თაობებსაც ვეღარ ავალაპარაკებ. ჰა-ჰა მხოლოდ რამდენიმე წელი ვიარსებო. შემდეგ კი, მიმივიწყებენ. იტყვიან, ასე ხომ სხვაც ბევრი წერდაო. ამას კი ნამდვილად ვერ შევეგუები.

- ჰო და, სწორედ ამიტომ უნდა დაწეროთ დღეს. გააკეთეთ დღეს, რაც შეგიძლიათ დღეს. და არა ხვალ. რადგან ხვალინდელი დღე შეიძლება აღარც გათენდეს და დაწერის შანსიც აღარ მოგეცეთ! TOmorrow, or not TOmorrow, that is the question! - თქვა თავისი ბრძნული მეტყველებით აღფრთოვანებულმა დურგალმა და ჩანთიდან ხელსაწყოების ამოლაგებას შეუდგა.

-აჰ, სემ, მშვენიერი იდეა მომაწოდეთ! - ჩაიბურტყუნა უილიამმა და მაგიდაზე გაფანტულ ფურცლებში კალამს დაუწყო ძებნა.